

<p>მიზნები</p>	<p>სასწავლო პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა არსის, სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა და პასუხისმგებლობათა გამიჯვნის პრინციპებისა და სამართლებრივი საფუძვლების, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განსაზღვრისა და განხორციელებისას მუნიციპალური ორგანოებისა და სამსახურების როლის, ფუნქციებისა და კომპეტენციების გაცნობით, მუნიციპალიტეტის მოხელეთათვის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.</p>
<p>შესასწავლი ძირითადი თემები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციისა და დეკონცენტრაციის ცნებები, პრინციპები და სამართლებრივი საფუძვლები. უფლებამოსილებათა გამიჯვნა სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის. 2. უფლებამოსილებათა კლასიფიკაცია. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განსაზღვრის სამართლებრივი პრინციპები საქართველოს კონსტიტუციაში და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიაში 3. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების სახეები ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით 4. უფლებამოსილებების დელეგირების წესი და პირობები 5. საკუთარი და ნებაყოფლობითი უფლებამოსილებების ნუსხა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კოდექსის მიხედვით 6. საერთაშორისო გამოცდილება: უფლებამოსილებათა გამიჯვნის შედარებითი დახასიათება საქართველოში და აღმოსავლეთ ევროპაში 7. წარმომადგენლობითი ორგანოს როლი, ფუნქციები და კომპეტენცია მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას 8. გამგებლის/მერის როლი, ფუნქციები და კომპეტენცია მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას 9. მუნიციპალური სამსახურების როლი, ფუნქციები და კომპეტენცია მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას

	<p>10. სახელმწიფო ზედამხედველობა მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>მსმენელმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციისა და დეკონცენტრაციის ცნებები, პრინციპები და სამართლებრივი საფუძვლები. უფლებამოსილებათა გამიჯვნა სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის • უფლებამოსილებათა კლასიფიკაცია. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განსაზღვრის სამართლებრივი პრინციპები საქართველოს კონსტიტუციაში და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიაში • ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების სახეები ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით. საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. ექსკლუზიური უფლებამოსილება. ნებაყოფლობითი უფლებამოსილებები • უფლებამოსილებების დელეგირების წესი და პირობები. დელეგირებული უფლებამოსილებები დარგობრივი კანონმდებლობის მიხედვით • საკუთარი და ნებაყოფლობითი უფლებამოსილებების ნუსხა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კოდექსის მიხედვით. საკუთარი უფლებამოსილებების ექსკლუზიურობისა და ნებაყოფლობითი უფლებამოსილებების პოზიტიური განსაზღვრის, უფლებამოსილებათა ვალდებულებითი ხასიათის გაურკვევლობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზები და მათგან გამომდინარე პრაქტიკული პრობლემები • საერთაშორისო გამოცდილება: უფლებამოსილებათა გამიჯვნის შედარებითი დახასიათება საქართველოში და აღმოსავლეთ ევროპაში • წარმომადგენლობითი ორგანოს, გამგებელის/მერის როლი, ფუნქციები და კომპეტენცია მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას • მუნიციპალური სამსახურების როლი, ფუნქციები და კომპეტენცია მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას • სახელმწიფო ზედამხედველობა მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას. სამართლებრივი ზედამხედველობა.

	<p>დარგობრივი ზედამხედველობა</p> <p>მსმენელს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაცია-დეკონცენტრაციის პროცესის, სახლმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის მნიშვნელობის შეფასება, მუნიციპალიტეტის გამგებლობის სფეროს იდენტიფიცირება • უფლებამოსილებათა სწორედ იდენტიფიცირება მათი სხვადასხვაგვარი კლასიფიკაციის მიხედვით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის კონსტიტუციური და ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიით დადგენილი პრინციპების პრაქტიკაში გამოყენება • საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების გამიჯვნა, ექსკლუზიურ და ნებაყოფლობით უფლებამოსილებათა იდენტიფიცირება • კანონით და ხელშეკრულებით დელეგირებულ უფლებამოსილებათა იდენტიფიცირება • მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებისას წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს როლის, ფუნქციებისა და კომპეტენციის შეფასება და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება • მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებისას აღმასრულებელი ორგანოს - გამგებლის/მერის როლის, ფუნქციებისა და კომპეტენციის შეფასება • მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებისას მუნიციპალური სამსახურის როლის, ფუნქციებისა და კომპეტენციის შეფასება • სამართლებრივი და დარგობრივი ზედამხედველობის იდენტიფიცირება
<p>მოცულობა</p>	<p>კრედიტი: 0.7 საკონტაქტო საათი: 14</p>
<p>მწვრთნელი/მწვრთნელები</p>	<p>1. დავით ზარდიაშვილი 2. ნინო რომაშვილი</p>
<p>სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის საკონტაქტო ინფორმაცია</p>	<p>ნინო რომაშვილი ელ.ფოსტა: nromashvili@tcj.gov.ge ტელ: (995 32) 2 94 22 28 , 2 38 22 59; 599 58 88 01</p>